ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5276996

ნომერი: AR1802035

თარიღი : 03.02.2021

გაცემის თარიღი : 04.02.2021

გაცნობის თარიღი : 05.02.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა, N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგი ტოგონიძე პ/ნ 18001003129
- ი. ჭავჭავაძის გამზირი 35ა ბ.47

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ოპტიმა კოდი: 40458336

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 03 თებერვალს №AR1802035 განცხადებით მომართა ვახტანგი ტოგონიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ ზურგოვანში, ასი ათასი მოწვამის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.014.962), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 22 დეკემბრიდან 2023 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საერთო ფართობად 7514.2 კვ.მ-ის ნაცვლად 7333.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 16.7 კვ.მ-ის ნაცვლად 53.7 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 868.2 კვ.მ-ის ნაცვლად 650.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882020791949; მომზადების თარიღი: 27/10/2020 წ.) №01.72.14.014.962 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ოპტიმა (საიდენტიფიკაციო ნომერი: №404583036). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს ოპტიმას ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვახტანგ ტოგონიძე. შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ 1 სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე და გადახურული ავტოფარეხი, საყარაულო ჯიხურის გეგმა 0.00 ნიშნულზე არ იცვლება, უბრალოდ აღნიშნულ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 7333.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად 53.7 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 650.7 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანებით შეთანხმებული 1 სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე და გადახურული ავტოფარეხი, საყარაულო ჯიხურის გეგმა 0.00 ნიშნულზე ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №5223093 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.